

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა  
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

31 იანვარი 2019 წელი

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ:** რამაზ არველაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გიგა გოგიბერიძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** დავით ხარბეიშვილი, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

**დანართი N1**

**მოწვეული პირი:** ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - მიხეილ სვანაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127 დადგენილებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე“.

მომხს: /მიხეილ სვანაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა დამტკიცების შესახებ.

მომხს: /რამაზ არველაძე./

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127 დადგენილებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან მოვიდა შენიშვნები წარმოდგენილ დადგენილებაში. ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნა ეს შენიშვნები. კერძოდ;

სავალდებულოა ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი ახალშობილის დაბადებამდე არაუგვიანეს 180-ე დღიდან განცხადების შემოტანამდე უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტიურად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტში.

ასევე დამტკიცდეს „მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისა და 1989 წლის 9 აპრილის დაზარალებულთა დახმარების პროგრამა“.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-7

წინააღმდეგი- არცერთი

/დანართი 2/

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს და ცვლილება იქნეს შეტანილი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N127 დადგენილებაში ცვლილებების და დამატების შეტანას.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს კომისიის თავმჯდომარის წარმოდგენილ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმას, აღნიშნული საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე  
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე